პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 40 (2083) კვირა, 6 ოქტომბერი, 1985 წელი. • ფასი 2 კაპ.

## დღეს ნომერში:

- 7 ოქტომბერი კონსტიტუციის დღეა
  საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე (1-ლი გვ.)
- თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს — თბილისის ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ანგარიში
  პროფილაქტიკა — მუშაობის მთავარი მიმართულება — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის, მილიციის პოლკოვნიკის მ. თარგამაძის სტატია (მე-2 გვ.)
- უპასუხისმგებლობისა და არაორგანიზებულობის შედეგი — სტატია არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ცხინვალის კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და შს განყოფილების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ (მე-3 გვ.)
- მოგონებანი ლენინზე (მე-4 გვ.)

# ПОД БЛАГОТВОРНЫМ ВОЗДЕЙСТВИЕМ КОНСТИТУЦИИ СССР

Есть в нашем календаре даты, которые обозначают важнейшие вехи в жизни страны и народа, служат точкой отсчета стремительного движения социалистического общества вперед. И среди них дата принятия новой Советской Конституции — 7 октября 1977 года. Основной Закон провозгласил выход нашей страны на рубежи развитого социализма, создание первого в мире общенародного государства. В этом выдающемся политико-правовом документе нашли отражение не только итоги предшествующего социально-экономического, политического и духовного развития нашего общества, но и четко обозначены ориентиры на будущее.

Советские конституции никогда не были простыми декларациями. Обобщая и закрепляя реальные процессы, происходящие в ходе социалистического и коммунистического строительства, они самым активным образом воздействовали на развитие этих процессов, служили средством мобилизации и организации самых широких масс трудящихся. Именно такое творческое начало заложено в ныне действующей Конституции СССР.

Со дня принятия Конституция СССР стала работающим законом. В стране целеустремленно претворяются в жизнь конституционные положения, направленные на укрепление экономической, социальной, политической и духовной основ советского общества. Организующей и направляющей силой этого созидательного процесса выступает КПСС. Разрабатывая важнейшие проблемы государственной и общественной жизни, она опирается на творческий опыт народных масс.

Внутренняя и внешняя политика Коммунистической партии, ее ленинского Центрального Комитета пользуется всенародной поддержкой. Она направлена на всестороннее совершенствование развитого социализма, приведение в действие его могучих созидательных сил, повышение уровня руководства социально-экономическими и политическими процессами, обеспечение действенного фактического участия трудящихся в управлении государственными и общественными делами, укрепление дисциплины и организованности, социалистической законности и правопорядка.

Разработка партией учения о развитом социалистическом обществе, в том числе и об общенародном государстве, воплощение этих новаторских идей в Конституции СССР — образец творческого решения крупнейших теоретических проблем научного коммунизма. Дальнейшее развитие и обогащение они получат в готовящейся сейчас новой редакции Программы КПСС.

Проявляя неустанную заботу о реализации конституционных положений, направленных на обеспечение гражданам реальных возможностей для применения своих творческих сил, способностей и дарований, идейно-нравственного роста, партия и государство решение экономических и социально-политических проблем органически связывает с формированием нового человека, с воспитанием всесторонне развитых и всесторонне подготовленных людей.

На основе Конституции СССР последовательно развивается и углубляется социалистическая демократия, совершенствуется политическая система советского общества. Наиболее ярко этот процесс находит выражение в повышении роли и авторитета Совета народных депутатов — политической основы СССР. За последние годы КПСС разработан и осуществлен ряд крупных мер по активизации деятельности органов народной власти. Значительно расширены полномочия Советов народных депутатов в обеспечении комплексного развития на своей территории, усилены их координационные и контрольные функции.

Конституцией СССР закреплены главнейшие направления ленинской внешней политики СССР. Ее цель — сохранение и упрочение мира на планете. В условиях разжигаемой силами империализма военной истерии наши помыслы и устремления направлены на достижение решающего поворота к лучшему в международной обстановке, на то, чтобы отвести угрозу термоядерной катастрофы.

Интересы народа, интересы общества в целом — высший смысл деятельности КПСС. Возрастание ее руководящей роли, усиление вдохновляющего воздействия на массы — залог дальнейшего успешного продвижения нашей страны по пути к коммунизму.

# ახალ სასწავლო წელს — ახალი შრომითი მიღწევები

**თბილისის** საბურთალოს შს რაიგანყოფილებაში ჩატარდა ახალი 1985-86 სასწავლო წლის პირველი მეცადინეობა პოლიტიკური განათლების სისტემაში. ოფიცერთა შემადგენლობის ჯგუფში (პროპაგანდისტი ნ. გიორგაძე) გაერთიანებულია 17 მსმენელი რომელთაგან 9 პარტიის წევრია, 2 კომკავშირელი.

მეცადინეობაზე განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული აპრილის პლენუმის მასალებზე. თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაზე, XI ხუთწლედის წარმატებით დამთავრების საკითხებზე; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისადმი ახლებურ, თანამედროვე მიდგომაზე. აღნიშნულ საკითხებთან უშუალო კავშირში იქნა განხილული ის ამოცანები და პრობლემები რომლებიც ამჟამად დგას შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა წინაშე. აქედან გამომდინარე კონკრეტულად აღინიშნა რიგი სამსახურებისა, რომელთა მიზანმიმართულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფო დოვლათის მოვლა-პატრონობა, დამნაშავეობის პროფილაქტიკა, ალკვეთა-აცილება და სხვ.

**სურათზე:** მეცადინეობას ატარებს საბურთალოს შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ნ. გიორგაძე.

ა. გოგოლაძის ტექსტი და ფოტო.



# საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე

**უმაღლეს** სასწავლებლებში წესები ყველასთვის ერთნაირია. მაგრამ ზოგიერთი მშობელი, მეტისმეტად რომ არის გადაყოლილი საკუთარ შვილებზე, და სხვათა შორის, სხვების საზიანოდ, ხშირად იჩენს დიდ გამომგონებლობას, რომ გვერდი აუაროს ამ წესებს. ეს ეთიკის ნორმების, საბჭოთა ცხოვრების წესის პრინციპების დარღვევაა. ეს მით უფრო მიუტევებელია კომუნისტების, თანამდებობის პირებისათვის. თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლისას შეღავათების მისაღებად მოსწავლეთა შრომით მოწყობაში უხეში დარღვევების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში მკაცრად და პრინციპულად არის შეფასებული პროტექციონიზმისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების ფაქტები.

უნივერსიტეტში შესვლისას შეღავათების მისაღებად თავიანთი შვილების შრომითი მოწყობის დროს დაშვებულ ყველა უხეში დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებული იყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი თანამშრომელიც. ამ დღეებში გამართულ სხდომაზე სამინისტროს კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა ამ საკითხზე. პროტექციონიზმის დაშვების, კომუნისტებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისათვის შეუფერებელი მოქმედების გამო თანამდებობიდან მოხსნეს მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები, მათ შორის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ვ. ვ. როგავა, თბილისის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსი მ. ი. ლუდუშაური, ქუთაისის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ა. გ. ბერაძე, თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელი, მილიციის მაიორი ა. ბ. ასლანიშვილი.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს აგრეთვე თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსი თ. შ. ქურციკიძე. მან ხელი მოუწერა თავის ხელქვეითს ვაჟის უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დოკუმენტზე, რომელშიც, სხვა რომ არა ვთქვათ რა, უზუსტობა იყო დაშვებული. მოსწავლე მუშაობდა კადრების შტატგარეშე ინსპექტორად. უმაღლეს სასწავლებელში წარდგენილ დოკუმენტში კი სიტყვა „შტატგარეშე“ გამოტოვებული იყო.

(საქინფორმი).

— СЕГОДНЯ ДЕНЬ УЧИТЕЛЯ —



Большими успехами встретил свой профессиональный праздник преподавательский состав учебного центра МВД ГССР.

Отличные кабинеты, оснащенные различными средствами технического обучения, наглядные пособия позволяют им более качественно вести преподавание, что в конечном итоге является залогом отличной учебы.

НА СНИМКЕ: Проводится занятие предметной комиссии по тактико-специальной подготовке Учебного центра МВД ГССР.

Фото **М. Пекелиса.**

# თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს

სკკპ ცკ-ის 1985 წლის აპრილის პლენუმის მასალებში ნათლადაა თქმული კომკავშირული ორგანიზაციების როლის გააქტიურების შესახებ. თბილისის ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების კომკავშირულმა ორგანიზაციამ ახლახან იმსჯელა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გასულ პერიოდში კომკავშირულმა ორგანიზაციამ და მისმა ბიურომ მრავალი ღონისძიება გაატარეს მუშაობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ნაკლოვანებები მაინც თვალში საცემია.

თვითკრიტიკით უნდა განვაცხადოთ, რომ კომკავშირული ორგანიზაციის კრებებზე, ბიუროს სხდომაზე საკითხების მომზადება [illegible] რამდენიმე კომკავში[illegible]ულს უდღეოდა.

საანგარიშო პერიოდში არადამაკმაყოფილებლად იმუშავა კომკავშირულმა პროჟექტორმა. განყოფილების კედლის გაზეთში კომკავშირულ ცხოვრებაზე წერილები ნაკლებად იწერება. სერიოზული ნაკლოვანებებია საწევრო ანარიცხების აკრეფა-ანგარიშგების საქმეში. ზოგიერთი დაგვიანებით, რამდენიმე თვისას ერთად ან სულ არ იხდის კომკავშირის საწევროს. სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ კომკავშირული ორგანიზაციის ბიურომ ამ საქმეში დღემდე ვერ გამოიჩინა პრინციპულობა.

დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება ყოველთვის იდგა ჩვენი საქმიანობის დღის წესრიგში. მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, კომკავშირულმა ორგანიზაციამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა, მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა. მიმდინარე წლის 9 თვეში ხელმძღვანელობის მიერ წახალისებულია 17 თანამშრომელი. დისციპლინარული სასჯელი კი დაედო 8 თანამშრომელს. კომკავშირის ბიუროზე და კრებაზე განხილულ იქნა რამდენიმე კომკავშირელის პერსონალური საკითხი.

დისციპლინარული წესით დასჯილ მილიციელთა მეტი ნაწილი კომკავშირელია.

პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ძირითადად სადისციპლინო წესდების მოთხოვნათა დარღვევას უშვებენ ის თანამშრომლები, რომლებიც სუსტად ან არასრულყოფილად ერკვევიან მილიციის მუშაობაშია უფლება-მოვალეობაში, არ იცნობენ იმ ბრძანებებსა და დირექტიულ მითითებებს, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა მილიციის მუშაკთა საქმიანობას. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს რიგით და უმცროს მეთაურთა სწავლების საკითხებს. ამ მიმართულებით კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს მუშაობა არადამაკმაყოფილებელია.

იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში, დიდი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ სწავლებას, მასში ჩაბმული იყო მთელი პირადი შემადგენლობა. როგორც გასაუბრებაზე, ასევე შემაჯამებელ მეცადინეობაზე კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს ჩვენმა კომკავშირელებმა. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი რიგითი მილიციელი უმიზეზოდ აცდენდა მეცადინეობებს.

თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს დამრიგებლების მუშაობა. ბრძანება არის, მიმაგრებულია თანამშრომლები, გეგმებიც აქვთ დამრიგებლებს, მაგრამ ეს ყველაფერი ხშირ შემთხვევაში ქაღალდზე რჩება.

უკმაყოფილო ვართ ასევე აგიტატორების მუშაობით, მათ საქმიანობას აკლია სისტემატურობა. პირად შემადგენლობაში სამსახურეობრივ-ოპერატიული მაჩვენებლების გაუმჯობესების, საშემსრულებლო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი სოციალისტურ შეჯიბრებას უჭირავს. მაგრამ ეს საკითხი ჩვენთან ფორმალურ ხასიათს ატარებს. არ ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება-შეჯამება.

კრიტიკულად ვაფასებთ რა ჩვენს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, იმედს გამოვთქვამთ, რომ განყოფილების ხელმძღვანელობა, პარტიული ორგანიზაცია უფრო მეტ დახმარებას, გაგვიწევს ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს კომკავშირული ორგანიზაციის მომავალი საქმიანობის სრულყოფას, მის ქმედითუნარიანობას, საქმისადმი პრინციპულ დამოკიდებულებას.

**მ. ჭკადუა,**
**ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე, მილიციის სერჟანტი.**

# ВОСПИТЫВАЯ НОВОЕ ПОКОЛЕНИЕ

Основным критерием в воспитании сотрудников является индивидуальный подход к человеку. Именно индивидуальная работа обеспечивает формирование у каждого сотрудника высоких моральных, политических и психологических качеств, проявление их в учебе, службе, быту оценивается как высокий уровень политической сознательности, моральной чистоты, физической закалки, выносливости и подготовленности к выполнению служебных задач.

Уже прошло чуть больше года, как к нам по рекомендации райкома партии был принят Михаил Аладашвили, кандидат в члены партии.

С момента поступления на работу был издан приказ о закреплении молодого сотрудника за более опытным. Шефом — наставником был назначен коммунист Вейс Аназаров, который с большой охотой принял это предложение, и с того момента началась их совместная работа. Как всегда, новому человеку на новом поприще все интересно, тем более на ответственном участке охраны правопорядка.

М. Аладашвили быстро усвоил милицейскую работу, наладил деловой контакт с личным составом. В этом и помог ему наставник В. Аназаров, который постоянно оказывает практическую помощь, учит работе с документами. Часто они вместе с другими сотрудниками участвуют в проведении оперативно-профилактических мероприятий, где и набирается опыта молодой сотрудник.

**ЛИЧНЫМ ПРИМЕРОМ**

например, уже заслушаны отчеты наставника капитана милиции И. Мусаева и его подшефного лейтенанта милиции К. Бедоидзе, старших лейтенантов Д. Пилиева, Э. Рамазова, В. Аназарова, М. Аладашвили. В конце прошлого года Михаил Аладашвили был принят в члены КПСС.

Первичная организация работу наставников оценила положительно и наметила конкретные меры по дальнейшему повышению ее эффективности, обобщению накопленного здесь передового опыта, поощрению лучших.



В настоящее время много молодых влилось в состав РОВД и каждый из них имеет своего шефа-наставника.

Партийная и комсомольская организации держат под постоянным контролем работу с новым пополнением. Отчет наставника и подшефного часто заслушивается на собраниях. Так,

**Г. НИАЗАШВИЛИ,**
**секретарь, первичной партийной организации Тетрицкаройского РОВД, майор милиции.**

НА СНИМКЕ: В. Аназаров и М. Аладашвили.
Фото В. Торадзе.

ЗА ПОРЯДОК ВЕЗДЕ И ВО ВСЕМ

# Профилактика—главное направление работы

Возросшие требования партии о дальнейшем укреплении дисциплины и социалистической законности советские люди полностью поддерживают. Общенародная борьба объявлена таким негативным явлениям, отклонениям от норм социалистического общежития, как пьянство, тунеядство, шабашничество и другие. На переднем плане борьбы за порядок везде и во всем, совместно с другими органами, стоят и органы внутренних дел.

Недавно в г. Батуми проводились профилактико-предупредительные мероприятия под названием «Курорт-85», в котором кроме органов МВД Аджарской АССР, принимал участие широкий актив общественности, комсомольцев, дружинников, работников жилищно - эксплуатационных участков. Комплекс мер предлагал работу по разным направлениям, но особое внимание было уделено выявлению лиц, временно не работающих, занимающихся тунеядством и шабашничеством, а также нарушителей правил паспортного режима и незаконного хранения охотничьих ружей.

Прописная истина, что тунеядство, безделье — источник беспорядков, а нередко и преступлений. Практика подтвердила, что лица, не занятые общественно полезным трудом, — потенциальные преступники. А ведь в нашей стране положение и место личности в обществе определяются общественно - полезным трудом. Участники рейдов за короткий период времени выявили немало бездельников и тунеядцев.

В данной статье мы не ставим своей целью выяснить у праздношатающихся причины их безделья. Хорошо известно, что в нашей стране нет никаких социальных предпосылок для безработицы. Скорее, наоборот, многочисленные объявления бюро по трудоустройству говорят о нехватке рабочей силы на предприятиях, в организациях, в совхозах. Так почему же рядом с нами находятся не занятые общественно полезным трудом лица? Думаю, в отношении их следует отбросить всякое благодушие и создать атмосферу по-настоящему нетерпимой. Но немало случаев, когда на том или ином предприятии халатное отношение к направленному на работу тунеядцу приводит к тому, что он через несколько недель покидает место работы. Между тем, об этих фактах очень часто не сообщается в органы внутренних дел, и тем самым мы лишены возможности принять срочные профилактические меры. Есть и такие семьи, где в отношении рабочей профессии бытует ложное представление, и родители всячески стараются «оградить» свое чадо от работы на фабриках, заводах. Действуют по принципу «рыба любит, где глубже, а человек — где лучше». Время идет, а список тунеядцев пополняется еще одним бездельником.

Серьезный ущерб народному хозяйству наносит вредная практика шабашничества. Жители г. Батуми С. Мазманов, И. Беридзе, М. Мамуладзе и другие надолго оставляли свою семью и в погоне за «длинным» рублем, став шабашниками, активно промышляли за пределами нашей республики.

Можно не сомневаться в том, что в отношении их будут приняты надлежащие меры, и все они будут возвращены к родному очагу.

В г. Батуми особое значение придается строгому соблюдению паспортного режима. Об этом не раз говорилось, но до некоторых руководителей и квартиросдатчиков эта простая истина так и не дошла. Участники рейдов составили 350 протоколов о нарушениях паспортного режима. Так, в Аджарское управление рыболовного флота оформили на работу неких Р. Гавриляна, В. Кицманюка, В. Горба и других, которые не имели прописки. Не позаботились о прописке и приняли на работу на железнодорожную станцию г. Батуми А. Махрамаева, П. Орехова, Л. Закарадзе и других. Следует отметить, что на этих предприятиях подобные случаи повторяются из года в год.

Почти на протяжении всего курортного сезона некоторые граждане сдают свои квартиры случайным приезжим на длительное время. Понятно, что это создает оперативные трудности, потому что иной раз «квартиранты» избирают жертвой своих же «сердобольных» хозяев, обворовывая их. Участковым инспекторам милиции, работникам аппарата паспортной службы следует больше работать по выявлению подобных фактов и не оставлять их без надлежащего реагирования.

Каковы же итоги мероприятий «Курорт-85»? Они показали, что для укрепления порядка и дисциплины предстоит сделать еще многое. Как ни странно, отдельные граждане все еще не осознали, что в нашей стране взят твердый курс на полное искоренение пьянства и алкоголизма, и что в отношении пьяниц нельзя допускать ни малейших поблажек.

И еще один очень важный вопрос — неправильное хранение охотничьего огнестрельного оружия. Как будто, всем ясно, что запирать его следует в местах, недоступных для посторонних. Так нет же! Все та же халатность и небрежность. В г. Батуми из-за нарушения правил хранения было изъято 220 охотничьих ружей. Хотя сотрудниками органов внутренних дел неоднократно предупреждались члены Союза охотников, то есть лица, имеющие право на владение ружьем, о том, сколь тяжкие последствия могут иметь — вплоть до трагического исхода — нарушения правил хранения.

Как видите, профилактико-предупредительные мероприятия «Курорт-85» выявили много недостатков, недочетов, упущений и, если критически их осмыслить, нетрудно прийти к выводу, что работы у нас непочатый край. С помощью широкого актива общественности органы внутренних дел республики и впредь будут проводить мероприятия подобного характера с тем, чтобы, перенеся основной упор на профилактику, довести до минимума нарушения общественного порядка.

**М. ТАРГАМАДЗЕ,**
**заместитель министра внутренних дел Аджарской АССР, полковник милиции.**

# განვამტკიცოთ მართლწესრიგი ტრანსპორტზე

ამას წინათ ჩატარდა სოხუმის სატრანსპორტო პროკურატურისა და აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებების მუშაკთა უწყებათაშორისი თათბირ-სემინარი, რომლის მთავარი თემა იყო ტრანსპორტზე მართლწესრიგის განმტკიცება, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

მოხსენებით გამოვიდა ქ. სოხუმის სატრანსპორტო პროკურორი ს. ბგანბა. კამათში მონაწილეობდნენ სადგურ სოხუმისა და სოხუმის აეროპორტის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებების უფროსები გ. აკიმბაია და რ. გადელია, სადგურ გაგრის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების უფროსის მოადგილე ბ. შეროზია, სადგურ სოხუმის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების უფროსი გამომძიებელი გ. შარია და სხვ.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა კრიტიკულად გაანალიზეს საქმის მდგომარეობა და პრინციპული შეფასება მისცეს რა არსებულ ნაკლოვანებებს, დასახეს ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორმა რ. ყიფიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო დოვლათის დაცვისათვის

**სოციალისტური** საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინაალმდეგ მებრძოლი აპარატი ორმოციან წლებში ჩამოყალიბდა, რომელსაც სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებაში დიდი ადგილი უკავია.

საზოგადოებრივი სახალხო დოვლათის დაცვის, უყაირათობის დამექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ ხანებში. ამ სახის დანაშაულებათათვის გაიზარდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. იგი ჩაითვალა საზოგადოებრივად საშიშ დანაშაულად და კანონი, განსაკუთრებით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის სასჯელის უმაღლეს ზომასაც კი ითვალისწინებს.

სახალხო დოვლათის დაცვის და გაფლანგვა-დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ უკანასკნელ ხანებში გამოცემული ბრძანებულებები და ნორმატიული აქტები.

ასრულებს რა აღნიშნულ ბრძანებულებებს, სადგურ ხაშურის ქვეგანყოფილება თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ატარებს საჭირო ღონისძიებებს სპეკულანტებისა და სპეკულაციაში ეჭვმიტანილი მოქალაქეების გამოსავლენად.

გამოვლინებულ იქნა წარსულში წვრილმანი სპეკულაციისათვის, ნასამართლევი, დაბა სურამში მცხოვრები კ. ურუშაძე, რომელიც დაჯარიმებულ იქნა სასამართლოს მიერ.

სადგურ ხაშურში ჩვენი თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა სპეკულაციაში ეჭვმიტანილი მოქალაქე ა. ჯავახიშვილი, მცხოვრები ქ. ახალციხეში და ქარელის რაიონში მცხოვრები გ. ნერგაძე, რომლებსაც სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი გადაჰქონდათ გასასაყიდად. ამათ გარდა, დაკავებულ იქნა „სოხუმი-თბილისის" მატარებლის გამცილებელი ვ. სტეფანია, რომელსაც გადაჰქონდა ქ. თბილისში შეძენილი 900 მანეთის ღირებულების ქალის სათვალე და ბავშვის სათამაშო კუბიკები. დამნაშავენი სათანადოდ დაისჯებიან.

ჩვენი ქვეგანყოფილების მუშაკები, საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ დამტაცებლებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ.

**ნ. ლომიძე,**
**ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ხაშურის სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი.**

# საზრიანი მოქმედებით

**დედაქალაქის** 26 კომისრის არასაუწყებო დაცვის განყოფილების თანამშრომლები მილიციის ლეიტენანტი ა. კარიჭაშვილი და მილიციის სერჟანტი კ. უსუპაშვილი მარშრუტზე მილიციელების სამსახურს ამოწმებდნენ. შაუმიანის ქუჩაზე მათ შენიშნეს, რომ ერთი მოქალაქე, საეჭვოდ ათვალიერებდა ერთ-ერთ სახლს; შემდეგ კი ბინიდან გამოიტანა შეფუთული ნივთები და მიმალვას ცდილობდა, მაგრამ მილიციის მუშაკთა სწრაფი და საზრიანი მოქმედებით ბოროტმოქმედი დაკავებული იქნა. იგი აღმოჩნდა გ. შიმშილაშვილი, დროებით უმუშევარი, ცოლშვილიანი. როგორც შემდეგში გაირკვა მას გაექურდა შაუმიანის ქ. № 2-ში მცხოვრები ხ. ჯანიმანოვას ბინა.

დამნაშავე წარსდგა მართლმსაჯულების წინაშე.

უნდა აღინიშნოს, რომ 26 კომისრის არასაუწყებო დაცვის განყოფილების მუშაკებს თავისი საზრიანი მოქმედებით ცხელ კვალზე არაერთი ბოროტმოქმედი დაუკავებიათ. ისინი ყოველთვის მზად არიან დაიცვან სანიმუშო წესრიგი რაიონის ტერიტორიაზე.

**მ. ყველაშვილი.**

# გადაარჩინეს მატერიალური ფასეულობანი

**ახლახან** ჭიათურის რაიონის სოფელ გუნდაეთის მაღაზიაში წარმოიშვა ხანძარი. დაკვამლიანება შეამჩნია მაღაზიის დარაჯმა ე. აბრამიშვილმა, რომელმაც სასწრაფოდ შეატყობინა სახანძრო ნაწილს. შემთხვევის ადგილზე გავიდნენ მეხანძრეები შინაგან საქმეთა ჭიათურის საქალაქო განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ქვეგანყოფილების ინსპექტორის რ. კვიჟინაძის ხელმძღვანელობით. ადგილზე მოსვლისას მიღებული იქნა სასწრაფო ზომები ხანძრის სალიკვიდაციოდ. ხანძრის ქრობაში მონაწილეობა მიიღეს ყარაულის უფროსებმა დ. მიქაბერიძემ, შ. პაპიძემ, მძღოლებმა ნ. ცერცვაძემ, ო. ჭუმბურიძემ.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა ჭიათურის საქალაქო განყოფილების უფროსის პირველი მოადგილე; მილიციის კაპიტანი ა. გაფრინდაშვილი და უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი პაპიძე, რომლებმაც ერთობლივი მოქმედებით თავიდან აიცილეს ხანძრის გავრცელება, რითაც მიაღწიეს მატერიალურ ფასეულობათა მაქსიმალურ შენარჩუნებას.

**თ. შიმშილაშვილი.**

# ДРУЖБЕ КРЕПНУТЬ

9—11 сентября этого года в Тбилиси побывал министр внутренних дел Словакии Штефан Лазар с супругой, которые находились в Грузии на отдыхе. Министр встретился в Тбилиси с руководством министерства внутренних дел Грузинской ССР. Были возложены венки на могилу неизвестного солдата в парке Победы.

Штефан Лазар с супругой посетили музей искусств Грузии, а также совершили поездку в город Мцхета и монастырь Джвари.



НА СНИМКЕ: Во время встречи в аэропорту.

НАШ ЛЕКТОРИЙ



# Психологическое изучение личности преступника

Психологический подход к объяснению противоправного поведения, с точки зрения возникновения и развития на разных этапах, имеет значительную историю, начиная от первых описаний социально-негативных характерологических черт, предпринятых Теофрастом и Ж. Лабрюйером, до вульгарно-материалистического понимания жизнедеятельности человека (Я. Молешотт, К. Форг); от первых попыток обусловить преступное поведение наличием черт «национального характера» (В. Вундт, Г. Тард, Г. Лебон, В. Бехтерев) либо инстиктивными комплексами на уровне подсознания (З. Фрейд, К. Юнг) до конституциональных особенностей детерминации психического в преступном поведении (П. Лафатер, Ч. Ломброзо, Э. Кречмер). И тем не менее проблема психологических детерминов преступного поведения, а также определенность в понимании его субъекта продолжают оставаться весьма далекими от решения.

Подход к изучению личности в криминологии определяется кругом вопросов о причинах и условиях совершения преступлений, типологических и индивидуальных особенностях личности преступника. Ответы на них дает выявление условий нравственного формирования личности, социальных влияний, выявление психологии и черт характера человека, которые обусловили его поведение.

Так, например, А. М. Яковлев прямо указывает, что «без знания психо-физиологических основ человеческого поведения трудно заложить научные основы для объяснения противоправного поведения». Иными словами, во главу угла ставится необходимость познания единого целого (общего), не сводимого просто к совокупности составляющих его элементов.

В качестве такого целого (общего), интегрирующего научные дисциплины (общественные, естественные, технические) на основе общего предмета, выступает проблема человека. Исследования человека как индивида (биология, генетика, физиология, антропология, психофизиология, медицина и др.) охватывают возрастные, половые, конституционально-соматические, нейродинамические особенности, структуру органических потребностей, психофизических функций.

Комплексное изучение личности (философия, социология, криминология, демография, экономика, психофизиология, психиатрия) целесообразно осуществлять по трем основным направлениям: 1) исследование формирования личностных качеств и свойств в условиях конкретной деятельности; 2) исследование структуры социальных позиций индивида, его статусов и социальных ролей в соответствующих социальных слоях общества; 3) установление общественных закономерностей, детерминирующих поведение.

Изучение преступного поведения возможно со многих точек зрения и с помощью методов различных наук. В настоящее время представляется перспективным использование принципа комплексности и целостности исследования преступной деятельности.

Попробуем очертить круг проблем, входящих в компетенцию психологического изучения при организации комплексного криминалогического исследования личности преступника.

Советские психологи едины в понимании того, что «личность — явление социальное. Ее социальность многопланова». Таким образом, личность выступает как продукт общественного развития, а ее формирование является результатом непрерывного взаимодействия индивидуального и социального. В процессе деятельности человек усваивает общественные отношения, становится носителем норм и ценностей различных социальных групп.

**В. АНДРОСЮК,**
**кандидат психологических наук.**

(Продолжение следует)

# უპასუხისმგებლობისა და არაორგანიზებულობის შედეგი

**საზოგადოებრივი** წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიური მოწოდებულია იქცეს მნიშვნელოვან ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებად, რომელიც ხელს შეუწყობს კომკავშირული ორგანიზაციების, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი მუშაობის კოორდინაციის დონის ამაღლებას, მოწოდებული საზოგადოების ფართო წრეების მონაწილეობის საფუძველზე უზრუნველყოს რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება.

მაგრამ საამისოდ თითქმის არაფერი გაკეთებულა ქალაქ ცხინვალში. კომკავშირის ცხინვალის საქალაქო კომიტეტს, პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს არ მიუღიათ სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და არასრულწლოვანთა და ახალგაზრდებს შორის ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა თავიდან აცილებისათვის საჭირო ზომები. ისინი ფორმალურად ეკიდებიან არასრულწლოვანებთან აღმზრდელობით მუშაობას, სათანადოდ არ უზრუნველყოფენ მათ მაღალ დონეზე, საქმიანად ჩატარებას, ყოველივე ამის გამო ქალაქ ცხინვალში წელს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებთან ბრძოლის თვალსაზრისით არასასურველი მდგომარეობა შეიქმნა.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტში სათანადო რეაგირება არ მოახდინეს შექმნილ ვითარებაზე, არ მიიღეს კონკრეტული ზომები ახალგაზრდების მიერ შრომითი და საზოგადოებრივი დისციპლინის დარღვევისათვის.

კომიტეტმა დაივიწყა სამართლებრივი აღზრდისა და პროფილაქტიკური ზემოქმედების ისეთი ეფექტიური ფორმა, როგორიცაა ბიუროს გაფართოებული გასვლითი სხდომები სასწავლო დაწესებულებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში. 1985 წლის დასაწყისიდან ქალაქში არ ჩატარებულა არცერთი ამგვარი ღონისძიება.

შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებასთან სუსტი კონტაქტების შედეგად ცუდად არის ორგანიზებული მუშაობა ძნელადაღსაზრდელ არასრულწლოვანებთან.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტი ნაკლებად ზრუნავს ახალგაზრდობის ჩაბმაზე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში არადამაკმაყოფილებელ დონეზეა სახალხო რაზმელთა ოპერატიული რაზმების მუშაობა.

დამაფიქრებელია კომკავშირის საქალაქო კომიტეტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს მაშინ, როცა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ განსაკუთრებული, უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა ლოთობას. კომკავშირის კომიტეტები შორს დგანან ახალგაზრდებს შორის ლოთობის ცალკეულ შემთხვევებთან ბრძოლისგან, მათ არ იციან საქმის ჭეშმარიტი ვითარება.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხების განხილვამ საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე დაკარგა სიმწვავე, პრინციპულობა, მათი მუშაობა ამოიწურება შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემების აღრიცხვით. დღის წესრიგში არ დამდგარა არც ერთი კომკავშირული მუშაკის, ანდა აქტივისტის პერსონალური პასუხისმგებლობის, საკითხი არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა მიუხედავად, კომკავშირის საქალაქო ცხინვალის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის საქმიანობის შესწავლამ აჩვენა, რომ ინსპექცია არასაკმარის მუშაობას ეწევა სამართალდარღვევებისადმი მიდრეკილების მქონე მოზარდების დროული გამოვლინებისათვის. სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე მუშაობა არაკეთილსაიმედო ოჯახებთან. ამის გარდა; არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის ინსპექტორებს ხშირად იყენებენ სხვა სამუშაოებზე, რომლებსაც არაფერი საერთო აქვთ ინსპექციის საკითხებთან, და ეს მაშინ, როცა ამგვარი მოქმედება მკაცრად იკრძალება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ სამართლებრივი აღზრდის, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის გამიზნული მუშაობის ჩაშლისათვის კომკავშირის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს დ. ყულუმბეგოვს გამოუცხადა მკაცრი საყვედური ალკკ წევრის სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

საქართველოს კომკავშირის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პარტიული და თავდაცვითი — მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგეს თ. გაგლოევს გამოეცხადა სასტიკი საყვედური ალკკ წევრის სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

სამდივნომ მიზანშეწონილად ჩათვალა ჩატარდეს საქართველოს კომკავშირის ცხინვალის საქალაქო კომკავშირული აქტივის კრება, სადაც გაანალიზდება მიმდინარე წელს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მიერ არასრულწლოვანებსა და ახალგაზრდებს შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები.

# მოგონებანი ლენინზე

...**ციხე** — წინასწარი პატიმრობის სახლი. საკანში საწოლი, მაგიდა და კედელზე მიმაგრებული ტაბურეტი. ვლადიმერ ილიას ძემ გადაწყვიტა არც ციხეში შეეწყვიტა რევოლუციური მუშაობა. როცა ჩავარდა პირველყოვლისა უნდა შეეტყო, წრის რომელი წევრი გადარჩა, პატიმარს უფლება ჰქონდა წიგნები მოეთხოვა სამუშაოდ. მან გამოგვიგზავნა მთელი სია წიგნებისა, რომლებიც უნდა გვეშოვნა. ვინაიდან მის ყველა ამხანაგს ჰქონდა შერქმეული სახელი, ისიც ამ ლეგალურ წერილში, რომელთაც ჟანდარმების ხელთ უნდა გაევლოთ, კითხულობდა თავისი ამხანაგების ამბებს. კითხულობდა და ძალიან ორიგინალურად.

ციხიდან გარეთ ფურცლების გაგზავნა გახდა საჭირო. წიგნებისა და წერილების საშუალებით კავშირის მრავალგვარი საშუალება არსებობდა. იგი რძით ჩვეულებრივ წერილს სტრიქონსა და სტრიქონს შუა წერდა; გათბობის საშუალებით რძე მჟღავნდებოდა. მაგრამ საკანში ძნელია დროის გამონახვა, როცა არავინ გიყურებს. ზედამხედველები „ვოლჩოკიდან" ქურდულად უთვალთვალებდნენ. ფხიზლად უნდა ყოფილიყავი. ვლადიმერ ილიას ძე შავი პურისაგან აკეთებდა პატარა სამელნეებს, შიგ რძეს ასხამდა და ისე წერდა. თუ კი საჭვრეტში ვინმეს შეამჩნევდა ისღა რჩებოდა, სამელნე პირისაკენ გაექანებინა.

მახსოვს, ერთხელ ნახვის დღეს მითხრა: „ნავსი დღე იყო, ექვსი სამელნის შეჭმა დამჭირდაო".

ციხეში პარტიის პროგრამას სწერდა. მუშაობისას ბევრს ფიქრობდა, უამრავი შესწორება შეიტანა, ცალკეული პუნქტები გადააკეთა. „პრედვარილოვკაში" პირობები უფრო შეღავათიანი იყო: იმდენი წიგნი შეგვეძლო გვქონოდა, რამდენიც გვინდოდა. მას საკანში წიგნების მთელი გროვა და ათასნაირი ამონაწერი ჰქონდა. ამ ფურცლებში შეურია პროგრამის პროექტი, როცა უეცრად მასთან საკნის გასაჩხრეკად მოვიდნენ. პარტიის პროგრამა რომ ეპოვნათ ვლადიმერ ილიას ძეს კარგი დღე როდი დაადგებოდა, პატიმრობა ან კატორღა არ ასცდებოდა. უამრავი ამონაწერი ჰქონდა და პროკურორმა რომ შეხედა სთქვა: „დღეს მეტისმეტად ცხელა ამ სტატისტიკის გასინჯვის თავი არა მაქვს". ასე მოტყუვდა.

ვლადიმერ ილიას ძე ამბობდა: „მე უკეთეს პირობებში ვარ, ვიდრე სხვები, ვერ ჩამსვამენ — ისედაც ვზივარო".

**მ. ი. ულიანოვა.**

**1918 წლის 1 (14)** იანვარს დაბინდებისას, მიხაილოვის მანეჟზე ვლადიმერ ილიას ძე სიტყვით გამოვიდა სოციალისტური არმიის პირველი რაზმის წინაშე. ეს რაზმი ფრონტზე მიემგზავრებოდა.

მიტინგზე მას ახლდნენ: შვეიცარიელი ამხანაგი პლატენი და ამ სტრიქონების ავტორი. როცა მიტინგი დამთავრდა, ჩვენ მანეჟიდან გამოვედით, ჩავსხედით დახურულ ავტომანქანაში და სმოლნისკენ დავიძარით, რამდენიმე საჟენიც არ გვქონდა გავლილი რომ უკანიდან ავტომობილის ძარას სეტყვასავით დააყარეს ტყვიები, „გვესვრიან", — ვთქვი მე, ეს პლატენმაც დაადასტურა, რომელმაც პირველ ყოვლისა ვლადიმერ ილიას ძეს (ისინი უკან ისხდნენ) თავი გვერდზე გადააწევინა, მაგრამ ილიჩი გვარწმუნებდა, სცდებით, არა მგონია ჩვენ გვესროდნენო.

სროლის შემდეგ მძღოლმა სვლას უმატა, მერე შეუხვია ავტომანქანა გააჩერა, კარი გააღო და გვკითხა: „ყველანი ცოცხლები ხართ? „ნუთუ მართლა ისროდნენ" — შეეკითხა მას ილიჩი. „მაშ რა გეგონათ — უპასუხა მძღოლმა, — ვიფიქრე, ცოცხლები აღარ იქნებიან მეთქი, კარგად გადავრჩით, საბურავში რომ მოერტყათ, ვერ გავასწრებდით. უამისოდაც სწრაფად ვერ ვიარე — ნისლია, ალალბედზე მივდიოდი".

მართლაც, ირგვლივ ყველაფერი გადაეთეთრებინა პიტერულ ხშირ ნისლს.

სმოლნში რომ შევედით მანქანის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ძარა რამდენიმე ადგილას გაეხვრიტა ტყვიას. ზოგიერთ ტყვიას კი მანქანაში გაეღწია და მინა დაემსხვრია. ახლაღა შევნიშნეთ, რომ ამხანაგ პლატენს ხელიდან სისხლი სდიოდა. ტყვიას მისთვის თითზე ტყავი გაეკაწრა, ალბათ მაშინ, როცა ვლადიმერ ილიას ძეს თავი გადააწევინა.

„მართლაც კარგად გადავრჩით", — ვეუბნებოდით ერთმანეთს კიბეზე ასვლისას ილიჩის კაბინეტისკენ მიმავალნი.

**მ. ი. ულიანოვა.**

**„პრავდა", № 11, 1925 წ. 14 იანვარი".**

ВЫЗВАН КАК СВИДЕТЕЛЬ

ПРАВОВЫЕ ЗНАНИЯ — В МАССЫ

# ВЫЗВАН КАК СВИДЕТЕЛЬ

Сложная проблема охраны правопорядка и борьбы с преступностью может быть успешно решена лишь объединенными усилиями партийных, государственных органов и общественных организаций с привлечением к этому важному делу трудовых коллективов, всех сознательных граждан.

Вместе с тем, хотелось бы отметить, что отдельные граждане, пользуясь правами, подчас забывают о своих обязанностях соблюдать советские законы, содействовать охране общественного порядка, честно и добросовестно трудиться — словом, с достоинством нести высокое звание гражданина СССР. Вот и приходится напоминать им об этом, а нередко и понуждать к выполнению норм права и социалистической морали.

При производстве дознания, предварительного следствия и разбирательстве в суде уголовное дело подлежит доказыванию. Одним из главных доказательств является показание свидетеля. В качестве свидетеля может быть вызвано любое лицо, которому известны какие-либо обстоятельства, подлежащие установлению по данному делу.

Свидетель обязан явиться по вызову лица, производящего дознание, следователя, прокурора, суда и дать правдивые показания, сообщить все известное ему по делу и ответить на поставленные вопросы.

Отказ или уклонение свидетеля от дачи показаний на судебном заседании, при производстве предварительного следствия или дознания уголовно наказуемы. Свидетель за это несет ответственность по статье 198 Уголовного кодекса Грузинской ССР, а за дачу заведомо ложных показаний — по статье 197 Уголовного кодекса республики.

Под заведомо ложным показанием подразумевается, когда лицо знает те или иные обстоятельства, имеющие значение для дела, однако по разным мотивам сознательно дает неправильные показания и тем самым вводит в заблуждение следственные и судебные органы и мешает в установлении объективной истины.

Никто не имеет права понуждать свидетеля или потерпевшего к даче судебно-следственным органам ложных показаний. Если такие понуждения имеют место и совершаются путем угроз, насилия, подкупа, виновные привлекаются к уголовной ответственности.

Давая показания, свидетель обязан говорить правду, и это не случайно. Свидетельские показания, как и другие доказательства, ложатся в основу приговора и от них зависит судьба человека.

Добросовестное исполнение свидетельского долга в социалистическом обществе имеет под собой прежде всего морально-этическую основу. Гражданин Страны Советов является проводником высоких идеалов и его поступки определяются убеждением, совестью, сознанием моральной ответственности за свои действия. Поэтому, он не должен лгать, кривить душой, лицемерить.

Тем не менее, бывают случаи, когда свидетели, вызванные в суд или на предварительное следствие, умышленно не являются, а иные из них дают по разным причинам заведомо ложные показания, что отнюдь не способствует правильному судопроизводству.

Скажем, в народном суде г. Батуми разбиралось уголовное дело в отношении некоего Г. Болквадзе, совершившего тяжкое преступление — грабеж, сопряженный с насилием. По данному делу свидетелем проходил В. И. Баранец, который во время предварительного следствия изобличал Болквадзе в совершенном преступлении, но во время судебного разбирательства по разным мотивам изменил свою позицию и дал суду заведомо ложные показания. Суд, не приняв во внимание показания, данные Баранцем, вынес определение и возбудил против него уголовное дело по статье 197 Уголовного кодекса Грузинской ССР. Прямо в зале суда заседаний его взяли под стражу. Вскоре В. Баранец предстал перед судом уже как подсудимый.

Главный вред лжесвидетельствования состоит в том, что сокрытие истины от следствия и суда помогает преступным элементам уйти от ответственности, содействует их антиобщественной деятельности, затрудняет борьбу с ними.

**М. МЕГРЕЛИДЗЕ,**
**помощник прокурора г. Батуми, юрист 3-го класса.**

НА ВАШУ КНИЖНУЮ ПОЛКУ

# ПОМОГУТ В РАБОТЕ

Издательство «Транспорт» выпустило в свет новые книги, которые несомненно заинтересуют нашего читателя. В книге английского автора Р. Дж. Грайса «Эвакуация поврежденных автомобилей с места дорожно-транспортных происшествий» рассмотрены методы оказания технической помощи автомобилям на месте ДТП. Даны рекомендации по выбору специального подвижного состава, оборудования и приспособлений, предлагаются оригинальные технические решения проблем, возникающих в процессе восстановительных работ.

«Дорожные условия и безопасность движения» — так называется книга В. Ф. Бабкова, в которой на основе отечественных и зарубежных статистических материалов и научных разработок освещены вопросы влияния дорожных условий на безопасность движения автомобилей и пешеходов. Рассмотрены пути обеспечения безопасности движения при проектировании новых, реконструкции, ремонте и содержании существующих автомобильных дорог, показана роль мероприятий по организации движения в обеспечении безопасности.

Книга известных японских специалистов в области прикладной математики и систем управления Х. Иноуе и Т. Хамада «Управление дорожным движением» содержит обширный материал по теоретическим основам и методам моделирования и управления транспортными потоками.

ცხელ კვალზე

# დააკავეს ხუთ საათში

...**ღამის** პირველი საათი იყო. ოპერატიული ჯგუფის წევრებს მორიგეობა დაუმთავრდათ და წასასვლელად ემზადებოდნენ, როდესაც გარდაბნის მილიციის რაიგანყოფილებაში აღელვებული მოქალაქე შემოვიდა და განაცხადა რომ იგი სოფელ გამარჯვებასთან გაძარცვეს. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. სასწრაფოდ შედგა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულები: მილიციის კაპიტანი ვ. სლასტუხინი, მილიციის ლეიტენანტი ზ. ნინაშვილი და უბნის ინსპექტორი მილიციის უფროსი ლეიტენანტი ი. ბექაური. ისინი ტაქსის მძღოლ ფომინთან ერთად შემთხვევის ადგილისაკენ გაემართნენ. ძარცვის დეტალები, ბოროტმოქმედის ნიშნები იმაზე მეტყველებდენ ის ადგილობრივი მცხოვრები უნდა ყოფილიყო, რომელმაც კარგად იცოდა ის ადგილები სადაც დანაშაული ჩაიდინა. მანქანაში დარჩენილმა ფეხსაცმელმა, მანქანის ტარების თავისებურებებმა, ტაქსისტთან ლაპარაკის მანერამ ოპერჯგუფის წევრებს საბოლოო წარმოდგენა შეუქმნა დამნაშავეზე.

უბნის ინსპექტორმა ი. ბექაურმა, რომელიც კარგად იცნობს სოფლის მოსახლეობას, მათ ჩვევებსა და მიდრეკილებებს წამოაყენა ვერსია — დამნაშავე შეიძლება ყოფილიყო ადრე ნასამართლევი, 1962 წელს დაბადებული აკაკი ჯაჭვაძე. ეს ერთადერთი ვერსია გამართლდა, რაც ძალზე იშვიათად ხდება ჩვენს საქმიანობაში. მართლაც ღამით იგი სახლში არ იყო. აეროპორტში გამგზავრებისას ისე იყო ჩაცმული, როგორც მძღოლმა გვითხრა. ჯაჭვაძის მშობლებმა დაადასტურეს, რომ ფეხსაცმელი, რომელიც ტაქსში ნახეს მათ შვილს ეკუთვნოდა. ასე დადგინდა დამნაშავის ვინაობა. ახლა საჭირო იყო მისი დროულად დაკავება. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა ახალი ვერსია: ბოროტმოქმედი უნდა ეძებნათ შემთხვევის ადგილის მახლობლად, რადგან მძღოლთან შებრძოლების შემდეგ ფეხშველა და მთლად სველი იგი შორს ვერ წავიდოდა.

მიტოვებულ ჯიხურში თავშეფარებულ ჯაჭვაძეს მილიციის მუშაკებმა მალე მიაგნეს და მძღოლის მიერ ამოცნობილი ბოროტმოქმედი რაიგანყოფილებაში წაიყვანეს.

დილის 6 საათი იყო. დანაშაულის ჩადენიდან გავიდა 5 საათი.

**რ. გახოკიძე,**
**გარდაბნის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი.**

იუმორი

# არც კი შეუნიშნავს

— თქვენ, რაღაც გაწუხებთ, ბატონო ელჩო?

— ვერ დაგიმალავთ, თქვენო უდიდებულესობავ, მე ამ დარბაზობაზე ოქროს საათი ამომაცალეს.

— სამწუხაროა! ვინმეზე ეჭვი გეპარებათ?

— ჩემი აზრით, საათი ამომაცალა იმ ვაჟბატონმა, რომელსაც თეთრი ჰორტენზია ჰქონდა სმოკინგის ღილკილოში.

— ეს ჩემი იუსტიციის მინისტრია.

— ჩემთვის ძალიან უხერხულია... მე ალბათ შევცდი...

მეფე გადის და ხუთი წუთის შემდეგ ბრუნდება, თან საათი უჭირავს ხელში.

— ეს თქვენი საათია?

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ რა თქვა ბატონმა იუსტიციის მინისტრმა.

თქვა? არც კი შეუნიშნავს ისე ამოვაცალე.

СПОРТ — СПОРТ

# ПОБЕДА ДИНАМОВЦЕВ

В Ташкенте завершились финальные игры розыгрыша Кубка СССР по теннису 1985 года среди мужских и женских команд обществ «Динамо», «Спартак», «Вооруженные силы», «Буревестник», «Зенит», «Труд», «Локомотив».

Успешно выступили в нем динамовские теннисисты, в составе которой выступал и наш мастер спорта, победитель двух международных юношеских турниров Владимир Габричидзе. Он победил в финале спортсменов «Вооруженных сил». Динамовцы стали обладателями почетного трофея. Обладателем кубка стала также женская сборная «Динамо». В финале она переиграла спортсменок «Вооруженных сил». В составе сборной «Динамо» была мастер спорта Ирина Малацидзе.

Следует отметить, что грамотами отмечены и заслуженные тренеры Грузии Г. Чахунашвили и С. Тухарели. За отличное судейство грамотой и памятным жетоном отмечен также динамовец арбитр Всесоюзной категории инспектор УПО МВД ГССР лейтенант в/с А. Малаянц.

Сейчас сильнейшие теннисисты-динамовцы примут участие в личном первенстве ЦС «Динамо» в Ташкенте, а 10 октября в Тбилиси на открытом первенстве Грузии.

**А. МАМАЛАДЗЕ.**

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23, ტელ. 95-66-72, 99-41-24. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 03914